სახელმწიფო ვალი

სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით შეადგენს 8,884.34 მილიონ ლარს, რაც მთლიანი სახელმწიფო ვალის 76%-ია. აღნიშნული საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან/პარტნიორებისგან ქვეყნისათვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი შეღავათიანია და ძირითადად შედგება გრძელვადიანი სესხებისგან - პორტფელის საკონტრაქტო შეწონილი ვადიანობა შეადგენს 22.2 წელს, საშუალო შეწონილი დარჩენილი ვადიანობა შეადგენს დაახლოებით 10.7 წელს, ხოლო სახელმწიფო საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 1.943%-ს.

სახელმწიფო ვალის სტრუქტურა 2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით



2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელის 74% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან. ეს გარემოება ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრების დაცულობას საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისგან და უზრუნველყოფს ვალის მომსახურების ხარჯების შენარჩუნებას დაბალ დონეზე. სახელმწიფო საგარეო ვალის 46% SDR-შია დენომინირებული (ნასესხობის სპეციალური უფლება) მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და აზიის განვითარების ბანკის ფინანსური რესურსების დიდი წილის გამო.

საპროცენტო განაკვეთის ტიპი



სავალუტო სტრუქტურა



სახელმწიფო საგარეო ვალის სტრუქტურა - 2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით

კრედიტორი	კრედიტის ვალუტა	ნაშთი (ათასი)			საპროცენტო განაკვეთი 31.03.2015	შეწონილი საპროცენტო განაკვეთი
		კრედიტის ვალუტაში	აშშ დოლარში	ლარში		
სახელმწიფო საგარეო ვალი			*3,988,480*	*8,884,339*		
მრავალმხრივი კრედიტორები			**2,782,801**	**6,198,688**		
განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (WB - IDA)	SDR	717,764	990,148	2,205,554	0.75%	0.186%
		159,536	220,078	490,223	2.00%	0.110%
		6,846	9,444	21,036	2.15%	0.005%
რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი (WB - IBRD)	USD	213,788	213,788	476,212	0.49%	0.026%
		56,840	56,840	126,611	0.69%	0.010%
		77,870	77,870	173,455	0.84%	0.016%
		96,577	96,577	215,125	0.89%	0.022%
		43,500	43,500	96,896	0.94%	0.010%
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	SDR	15,625	21,555	48,013	0.75%	0.004%
		4,920	6,787	15,118	0.56%	0.001%
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) PRGF	SDR	23,800	32,832	73,133	0.50%	0.004%
საერთაშორისო სავალუტო ფონდი IMF SBA	SDR	92,500	127,603	284,235	1.05%	0.034%
ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD)	EUR	224	243	540	1.09%	0.023%
		76,934	83,372	185,710		
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	SDR	192,229	265,178	590,684	1.00%	0.066%
		42,389	58,475	130,254	2.00%	0.029%
		38,429	53,012	118,085	1.60%	0.021%
		46,879	64,669	144,050	1.00%	0.016%
	USD	87,500	87,500	194,906	0.55%	0.012%
		15,075	15,075	33,580	0.61%	0.002%
		24,736	24,736	55,099	0.81%	0.005%
		16,000	16,000	35,640	0.68%	0.003%
		1,876	1,876	4,180	0.83%	0.000%
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	EUR	92,766	100,529	223,929	0.84%	0.021%
	EUR	40,000	43,347	96,556	0.91%	0.010%
	EUR	23,226	25,169	56,065	1.69%	0.011%
	EUR	20,000	21,674	48,278	1.94%	0.011%
	EUR	23,000	24,925	55,520	0.95%	0.006%
ორმხრივი კრედიტორები			**703,416**	**1,566,859**		
ავსტრია	EUR	10,930	11,845	26,384	1.00%	0.003%
აზერბაიჯანი	USD	11,216	11,216	24,985	3.00%	0.008%
თურქმენეთი	USD	211	211	470	4.00%	0.000%
თურქეთი	USD	21,447	21,447	47,774	3.00%	0.016%
ირანი	USD	8,749	8,749	19,489	3.00%	0.007%
რუსეთი	USD	91,910	91,910	204,729	4.00%	0.092%
სომხეთი	USD	13,241	13,241	29,494	3.00%	0.010%
უზბეკეთი	USD	269	269	600	3.00%	0.000%
უკრაინა	USD	246	246	548	3.00%	0.000%
ყაზახეთი	USD	27,774	27,774	61,867	4.00%	0.028%
ჩინეთი	CNY	24,000	3,866	8,612	0.00%	0.000%
გერმანია (KfW)	EUR	39,906	43,245	96,328	2.00%	0.022%
		68,182	73,888	164,585	6.06%	0.112%
		2,737	2,967	6,608	4.20%	0.003%
		3,693	4,002	8,914	2.20%	0.002%
		130,710	141,648	315,522	0.75%	0.027%
იაპონია	JPY	3,378,128	28,203	62,823	2.30%	0.016%
		1,792,472	14,965	33,335	0.01%	0.000%
		11,743,704	98,046	218,398	0.65%	0.016%
		264,515	2,208	4,919	1.30%	0.001%
კუვეიტი	KWD	5,296	17,636	39,284	3.00%	0.013%
ნიდერლანდები	EUR	186	201	449	4.20%	0.000%
		1,121	1,215	2,707	5.10%	0.002%
აშშ	USD	7,644	7,644	17,026	2.25%	0.004%
		536	536	1,194	1.50%	0.000%
		9,954	9,954	22,173	2.50%	0.006%
		10,804	10,804	24,067	2.00%	0.005%
საფრანგეთი	EUR	19,985	21,657	48,242	1.10%	0.006%
		2,379	2,578	5,743	0.17%	0.000%
		28,830	31,242	69,592	1.89%	0.015%
ფასიანი ქაღალდები			**500,000**	**1,113,750**		
ევროობლიგაცია 2021	USD	500,000	500,000	1,113,750	6.875%	0.862%
გარანტირებული კრედიტები			**2,263**	**5,042**		
გერმანია (KfW)	EUR	2,089	2,263	5,042	0.75%	0.000%

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან იანვარ-მარტში დაიხარჯა 153,425 ათასი ლარი, საიდანაც 130,921 ათასი ლარი წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 22,504 ათასი ლარი - პროცენტის თანხას:

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 2015 წლის იანვარ-მარტში

ათასი ლარი

კრედიტორები	ვალების დაფარვა	პროცენტი	სულ იანვარი- მარტი 2015
სულ	130,920.90	22,503.66	153,424.56
ავსტრია	-	66.89	66.89
კუვეიტი	851.44	357.56	1,209.00
იაპონია	2,091.19	1,151.75	3,242.94
აშშ	-	187.38	187.38
სომხეთი	573.28	272.94	846.22
აზერბაიჯანი	649.88	305.18	955.05
ირანი	474.03	224.45	698.48
ნიდერლანდები	15.10	9.93	25.03
რუსეთი	4,442.13	2,819.93	7,262.05
თურქეთი	1,265.44	652.70	1,918.13
საფრანგეთი	3,875.87	533.77	4,409.64
IDA	20,264.05	7,406.89	27,670.94
IBRD	10,485.48	2,288.29	12,773.77
IFAD	290.68	174.73	465.40
EBRD	5,421.83	813.58	6,235.41
EIB	-	226.58	226.58
ADB	9,099.58	4,265.32	13,364.90
IMF	71,120.93	745.82	71,866.74

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს 12 თვიანი სახაზინო ვალდებულებების და 2 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების ემისიას. 2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ბოლო აუქციონებზე დაფიქსირებულმა საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთებმა შეადგინა: 12 თვიანზე 6.2%, 2 წლიანზე - 7.4%, 5 წლიანზე - 9.9%, 10 წლიანზე - 10.5%.

სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი 2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით შეადგენს 2 069.2 მილიონ ლარს (სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა ნომინალებში - 2 094.2 მლნ ლარი), აქედან 1 501.3 მილიონი ლარი წარმოადგენს ნაშთს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ნაწილში, ხოლო 567.8 მილიონი ლარი - „სახელმწიფო ობლიგაციები სებ-სთვის და ღია ბაზრის ოპერაციებისათვის“ ნაწილში.

შენიშვნა: სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი არ მოიცავს ე.წ. "ისტორიულ ვალს". "ისტორიული ვალის“ მოცულობა საორიენტაციოა, ვინაიდან ამ კატეგორიის უმეტესი ნაწილი დასაზუსტებელია

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა ნომინალებში ვადის და ტიპის მიხედვით 2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით

ათასი ლარი

სულ	**2,094,152**
სახაზინო ფასიანი ქაღალდები	**1,526,306**
12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები	425,000
2 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები	496,284
5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები	480,022
10 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები	125,000
სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	**567,846**
სახელმწიფო ობლიგაცია სებ-სთვის	400,846
სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	167,000

2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით, საშინაო ვალდებულებების კლებამ შეადგინა 201,258.4 ათასი ლარი, მათ შორის სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვა - 196,258.4 ათასი ლარის ოდენობით და სახელმწიფო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას (სებ-ის მიმართ ვალი) - 5,000.0 ათასი ლარის ოდენობით, საქართველოს მთავრობის და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 15 მაისის „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად. 2015 წლის 3 თვის განმავლობაში სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად საშინაო ვალდებულებების ზრდა არის 394,835.3 ათასი ლარი. შესაბამისად, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად საშინაო ვალდებულებების ცვლილება შეადგენს 198,577.0 ათასი ლარის წმინდა ზრდას. აქედან, ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მექანიზმისთვის 2015 წლის I კვარტალში დაგეგმილი 100 მლნ ლარის ემისიიდან, საანგარიშო პერიოდში, ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ 99,996.0 ათასი ლარი შეადგინა. შედეგად, კომერციულ ბანკებს გაუჩნდათ გრძელვადიანი ფინანსური რესურსი ეკონომიკის დაკრედიტებისთვის.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის #29 განკარგულებით განისაზღვრა ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვის და დაფარვის წესი. ზემოხსენებული განკარგულების თანახმად, ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისთვის გამოშვებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვის უფლება მიეცათ საქართველოში მოქმედ ყველა კომერციულ ბანკს, 2014 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით საბანკო სექტორში თავიანთი სააქციო კაპიტალის წილის შესაბამისი ოდენობით.

სახელმწიფო ვალი 2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით

ათასი ლარი

	კრედიტორი	ნაშთი 31.03.2015 ათას ლარებში
	სულ სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფოს გარანტიით აღებული საგარეო კრედიტების მოცულობა	**8,884,339**
	მრავალმხრივი კრედიტორებისაგან	**6,125,555**
1	მსოფლიო ბანკი (WB)	3,805,113
2	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	63,131
3	საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	284,235
4	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	186,251
5	აზიის განვითარების ბანკი (ADB)	1,306,477
6	ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	480,348
	ორმხრივი კრედიტორებისაგან	**1,566,859**
1	ავსტრია	26,384
2	აზერბაიჯანი	24,985
3	თურქმენეთი	470
4	თურქეთი	47,774
5	ირანი	19,489
6	რუსეთი	204,729
7	სომხეთი	29,494
8	უზბეკეთი	600
9	უკრაინა	548
10	ყაზახეთი	61,867
11	ჩინეთი	8,612
12	გერმანია	591,957
13	იაპონია	319,475
14	კუვეიტი	39,284
15	ნიდერლანდები	3,155
16	ამერიკა	64,460
17	საფრანგეთი	123,577
	სხვა საგარეო ვალდებულებები	**1,113,750**
1	ევრობონდები	1,113,750
	სახელმწიფოს გარანტიით აღებული კრედიტები	**5,042**
1	გერმანია	5,042
	საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ეროვნული ბანკი)	**73,133**
	საშინაო ვალის მოცულობა	**2,741,491**
1	ეროვნული ბანკისთვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია	400,846
2	სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	167,000
3	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	400,785
4	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	1,100,534
5	ისტორიული ვალი	672,325
	სულ სახელმწიფო ვალის მოცულობა	**11,625,830**

შენიშვნა:
ცხრილში გამოყენებულია სავალუტო კურსები მოცემული თარიღისათვის